ოქმი:**ო31. 3125310001**
თარიღი:**06/11/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

30 ოქტომბერი

2025 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ბისიეშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად სხდომა გახსნა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა.** ის პირველ რიგში მიესალმა საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს, მედიის წარმოდამგენლებს, დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა წარმომადგენლობით ორგანოში არჩევა. ამის შემდგეგ, აღნიშნა, რო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომას გახსნილად აცხადებს, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს საკრებულოს უხუცესი წევრი **გიორგი ხელაძე.**

საკრებულოს უხუცესი წევრი, **გიორგი ხელაძე** პირველ რიგში მიესალმა მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს, გამორჩეულ, ღირსეულ პიროვნებას, რომელმაც ძალიან მაღალი პროცენტით, უკვე მესამედ გაიმარჯვა - უსურვა მას წარმატებები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ასევე, მიესალმა მედიის წარმომადგენლებს, საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას, დარბაზში მსხდომ თითოეულ ადამიანს და ყველა იმ პიროვნებას, რომელიც დღევანდელ სხდომას თვალს ადევნებს ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის მეშვეობით.

ამის შემდეგ, უხუცესმა წევრმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ თამარს და საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს გაწეული მუშაობისთვის, არჩევნების სამართლიანად, ობიექტურად და მშვიდ ვითარებაში ჩატარების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს 32 წევრი. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საკრებულოს წევრი, ზაზა წულაძე, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, გვერდით დაუდგა კოლეგებს და ესწრება დღევანდელ სხდომას, რისთვისაც გადაუხადა მადლობა. ამის შემდეგ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.

/მომხსენებელი: თამარ ბისიეშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

4. „2025 წლის 4 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დაწყებისა და მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: უხუცესი წევრი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი.

მომხრე საკრებულოს 32 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, **თამარ ბისიეშვილმა.** მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. არჩევნები გამჭვირვალე, მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, კანონით განსაზღვრული ყველა ეტაპის დაცვით ჩატარდა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა და ყველა მონაწილე სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა. ასევე, ფართო მასშტაბით გამოიყენა საარჩევნო ელექტრონული აპარატები, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ნდობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის - მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივი

დამკვირვებლების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარომომადგენლების მონაწილეობით. საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობა და დაკვირვება თავის მხრივ, ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობასა და საზოდაგოების ინფორმირებას.

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა თითეულ ამომრჩეველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. ასევე, ყველა ჩართულ მხარეს-მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრებს - პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შესრულებული საქმიანობისთვის.

როგორც ცნობილია, საოლქო საარჩევნო კომისიამ საბოლოო შედეგები 15 ოქტომბერს შეაჯამა. ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 32 წევრით. მათ შორის - პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული წარმომადგენლებით. თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან 2 კვირის თავზე, 29 ოქტომბერს.

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა არჩევნების შემაჯამებელი ოქმები.

N61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ბისიეშვილის მოხსენება საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ“ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა საკრებულოს წევრებს, დაესახელებინათ სამანდატო დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატები. საკრებულოს წევრმა დარეჯან ბურჭულაძემ კომისიის წევრად დაასახელა ლოლიტა ურუშაძე, ია მოქიამ - ნინო მშვიდობაძე, ნინო მშვიდობაძემ-მაია ლომთაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიიის შემადგენლობის შესახებ“ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი.

მომხრე საკრებულოს 32 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N42 (30.10.2025 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი საკრებულოს კომისიის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ“ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატურები. საკრებულოს წევრმა ივანე ებრალიძემ კომისიის წევრად დაასახელა დარჯან ბურჭულაძე, მაია ლომთაძემ - ივანე ებრალიძე, ლოლიტა ურუშაძემ - ელისო ჭიჭინაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ“ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი.

მომხრე საკრებულოს 32 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N43 (30.10.2025 წელი).

სხდომაზე გამოცხადდა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა ოქმი N1 (30.10.2025 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ლოლიტა ურუშაძე**, მდივანი - **ნინო მშვიდობაძე,** წევრი - **მაია ლომთაძე.**

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ოქმი N1 (30.10.2025 წელი), რომლის თანახმად კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - **დარეჯან ბურჭულაძე,** მდივანი - **ელისო ჭიჭინაძე,** წევრი - **ივანე ებრალიძე.**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „2025 წლის 04 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დაწყებისა და მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ როგორც ლანჩხუთის N61 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში განმარტა, წარმოდგენილია საკრებულოს 32 წევრის უფლებამოსილება. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება შესაბამის მოქმედ საკრებულოს. მან მიმართა საკრებულოს სხდომას, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიიღონ ცნობად.

„2025 წლის 04 ოქტომბერს არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დაწყებისა და მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ ინფორმაცია საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

უხუცესმა წევრმა, **გიორგი ხელაძემ** ისარგებლა შემთხვევით და საკრებულოს წევრებს კიდევ ერთხელ მიულოცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნდობის გამოცხადება. თითოეულ მათგანს უსურვა წარმატებები, ამომრჩევლების იმედების გამართლება. ასევე, მადლიერება გამოხატა ყოფილი კოლეგების მიმართ, წლების განმავლობაში ერთობლივი საქმიანობისათვის.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის, **ია მოქიას** განცხადებით, საკრებულოს წევრებმა: ია მოქიამ, გიორგი ჩახვაძემ, სამსონ კვაჭაძემ, ტატო ურუშაძემ, ვლადიმერ ნანაძემ, თენგიზ ხუხუნაიშვილმა, თენგიზ ურუშაძემ, ირაკლი ტოროტაძემ, ვარლამ ჩხარტიშვილმა, ბესიკი კვაჭანტირაძემ, კარლო კვიტაიშვილმა, გელა პატეიშვილმა, გიორგი ხელაძემ, ელისო ჭიჭინაძემ, ვერიკო კვირკველიამ, ირაკლი ცინცაძემ, სპარტაკ კვაჭაძემ, რევაზ კვერენჩხილაძემ, მაია ლომთაძემ, ალექსანდრე მახათაძემ, დარეჯან ბურჭულაძემ, ნინო მშვიდობაძემ, კარლო წილოსანმა, ლოლიტა ურუშაძემ, ივანე ებრალიძემ, გოგი მორჩილაძემ და გიორგი იმნაიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს საკრებულოს წევრის, **ბესიკ ტაბიძის** კანდიდატურა, რომელიც უკვე, წლებია ღირსეულად ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას. გარდა ამისა, გუნდში გამოირჩევა როგორც ლიდერობით და მაღალი პასუხისმგებლობით, ასევე, თავის სამჟორიტარო ოლქში - მაღალი ლეგიტიმაციით.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელდა მხოლოდ **ბესიკ ტაბიძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრებმა ბესიკ ტაბიძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ბესიკ ტაბიძის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 31 წევრმა. საკრებულოს 1 წევრმა (გოჩა ჯანაშია) კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ **დარეჯან ბურჭულაძემ** სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N2 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნა **ბესიკ ტაბიძე** - 29 ხმა, საკრებულოს 1 წევრმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში, 2 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

უხუცესმა წევრმა, **გიორგი ხელაძემ** მიულოცა **ბესიკ ტაბიძეს** საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა. უსურვა წარმატებები და მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, რის შემდეგაც მიმართა თხოვნით, დაეკავებინა მისთვის განკუთვნილი თავმჯდომარის ადგილი.

მიღებულ იქნა განკარგულება N44 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ბესიკ ტაბიძეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა **ბესიკ ტაბიძემ.** ის მიესალმა საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატს, მედიის წარმომადგენლებს და მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს. მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს ერთიანობისა და მხარდაჭერისთვის, რათა კიდევ ერთხელ, მესამე ვადით შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა და იმ გამოწვევებს, რომელიც მუნიციპალიტეტშია, გაუმკლავდნენ ერთობლივად, ჩვეული შემართებით, როგორც ერთი ძლიერი გუნდი, რაც აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ,,ქართული ოცნების“ გუნდს, ასევე, მეგობარს და ღირსეულ პიროვნებას, ალექსაანდრე სარიშვილს, რომელსაც მიულოცა მესამე ვადით მუნიციპალიტეტის მერად არჩევა. გარდა ამისა, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი კანდიდატურა წამოაყენა და მხარი დაუჭირა, რითაც საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ ემსახუროს ხალხს. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე, მადლობა გადაუხადა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას და აღნიშნა, რომ ყოველთვის მათ გვერდითაა, მაგრამ ხალხის მხრიდანაც გრძნობს სრულ მხარდაჭერას, რაც გამოიხატება ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობასთან შეხვედრების დროს სრული ანშლაგით. ბესიკ ტაბიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ოჯახს-შვილებს და მეუღლეს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. საკრებულოს თვმჯდომარემ კოლეგებს კიდევ ერთხელ უსურვა შემდგომი წარმატებები.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის, **ვერიკო კვირკველიას** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ვერიკო კვირკველიამ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, ვერიკო კვირკველიას კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 31 წევრმა. საკრებულოს 1 წევრმა (გოჩა ჯანაშია) კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N3 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნა ვერიკო კვირკველია - 27 ხმა, საკრებულოს 1 წევრმა არ მიიღო

მონაწილეობა კენჭისყრაში, 4 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N45 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ვერიკო კვირკველიას საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის, **მაია ლომთაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა, მაია ლომთაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, მაია ლომთაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჯანაშიამ დატოვა საკრებულოს სხდომა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 31 წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N4 30.10.2025 წელი), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნა მაია ლომთაძე - 28 ხმა, 3 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N46 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს მაია ლომთაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა საკრებულოს წევრის, **გიორგი ჩახვაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა გიორგი ჩახვაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

სხდომის გაგრძელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, გიორგი ჩახვაძის კანდიდატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 31 წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ სათანადო პროცედურის ჩატარების შემდეგ

სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N5 30.10.2025 წელი), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნა გიორგი ჩახვაძე - 28 ხმა, 3 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N47 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს გიორგი ჩახვაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა საკრებულოს წევრებს, მოამზადონ საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ შესაბამისი მიმართვა საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილია განაცხადი ორი ფრაქციის დაფუძნების შესახებ. ესენია:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", რომელიც შედგება 26 წევრისგან:

თავმჯდომარე- ია მოქია

პირველი მოადგილე:

ლოლიტა ურუშაძე

მოადგილეები:

ვლადიმერ ნანაძე

კარლო წილოსანი

ნინო მშვიდობაძე

სპარტაკ კვაჭაძე

ირაკლი ცინცაძე

ივანე ებრალიძე

წევრები:

ბესიკ ტაბიძე

ვერიკო კვირკველია

მაია ლომთაძე

გიორგი ჩახვაძე

გიორგი ხელაძე

ზაზა წულაძე

კარლო კვიტაიშვილი

გიორგი იმნაიშვილი

ელისო ჭიჭინაძე

რევაზ კვერენჩხილაძე

თენგიზ ხუხუნაიშვილი
ირაკლი ტოროტაძე
ტატო ურუშაძე
გელა პატეიშვილი
თენგიზ ურუშაძე
ვარლამ ჩხარტიშვილი
ბესიკი კვაჭანტირაძე
სამსონ კვაჭაძე

2. ფრაქცია ,,ხალხის ძალა“, რომელიც შედგება 3 წევრისგან:

თავმჯდომარე- დარეჯან ბურჭულაძე

მოადგილე:

გოგი მორჩილაძე

წევრი:

ალექსანდრე მახათაძე

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა საკრებულოს სხდომას, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიიღონ ცნობად.

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ინფორმაცია საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ უნდა განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

სხდომაზე გამოცხადდა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, **ლოლიტა ურუშაძემ** საკრებულოს სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის (ოქმი N2 30.10.2025 წელი), დასკვნა. კერძოდ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 32 წევრისგან. აქედან, 26 წევრი - (81,2 %) არის ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრი, საკრებულოს 3 წევრი - (9,4 %) არის ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ წევრი, საკრებულოს 3 წევრი - (9,4 %) არის უფრაქციო წევრები.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით, განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა მაქსიმუმ 14 წევრით.

ა) ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ -10 (ათი) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ – 2 (ორი) კომისიის წევრი;

გ) უფრაქციო წევრები 2 (ორი) კომისიის წევრი;

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (თორნიკე მითაიშვილი)

მიღებულ იქნა განკარგულება N48 (30.10.2025 წელი).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულომ პროცედურულად ცნობად უნდა მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები. კერძოდ:

1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია:

1) გიორგი ხელაძე
2)ტატო ურუშაძე
3) ნინო მშვიდობაძე
4) ია მოქია
5) დარეჯან ბურჭულაძე
6) კარლო წილოსანი
7) თენგიზ ურუშაძე
8) მაია ლომთაძე
9) ივანე ებრალიძე
10) გოჩა ჯანაშია

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1) ალექსანდრე მახათაძე
2) ია მოქია
3) ვერიკო კვირკველია
4) თენგიზ ხუხუნაიშვილი
5) სპარტაკ კვაჭაძე
6) ვლადიმერ ნანაძე
7) გიორგი ჩახვაძე
8) ტატო ურუშაძე
9) გოჩა ჯანაშია

3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

1) ზაზა წულაძე
2) ირაკლი ცინცაძე
3) გიორგი იმნაიშვილი
4) ვლადიმერ ნანაძე
5) მაია ლომთაძე
6) სამსონ კვაჭაძე
7) გოგი მორჩილაძე
8) თორნიკე მითაიშვილი
9) ჯუმბერ ბლაგიძე

4. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1) კარლო კვიტაიშვილი
2) ირაკლი ტოროტაძე
3) ნინო მშვიდობაძე
4) ლოლიტა ურუშაძე
5) ვარლამ ჩხარტიშვილი
6) გელა პატეიშვილი
7) ირაკლი ცინცაძე
8) თენგიზ ხუხუნაიშვილი
9) ელისო ჭიჭინაძე
10) ივანე ებრალიძე
11) დარეჯან ბურჭულაძე

5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:

1) გიორგი იმნაიშვილი
2) ლოლიტა ურუშაძე
3) თენგიზ ურუშაძე
4) ვარლამ ჩხარტიშვილი
5) გელა პატეიშვილი
6) სპარტაკ კვაჭაძე
7) გიორგი ჩახვაძე
8) ელისო ჭიჭინაძე
9) ბესიკი კვაჭანტირაძე
10) ზაზა წულაძე
11) გოგი მორჩილაძე

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა საკრებულოს სხდომას, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიიღონ ცნობად.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ინფორმაცია საკრებულოს სხდომამ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, კომისიის შემადგენლობიდან უნდა დასახელდეს კანდიდატურები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ, **ია მოქიამ** საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის, **გიორგი ხელაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა, გიორგი ხელაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის გიორგი ხელაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N6 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა სკრებულოს წევრი, გიორგი ხელაძე - 31 ხმა.

მიღებულ იქნა განკარგულება N49 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს გიორგი ხელაძეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ **დარეჯან ბურჭულაძემ** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის, **ალექსანდრე მახათაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ალექსანდრე მახათაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N7 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ალექსანდრე მახათაძე - 30 ხმა, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N50 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ალექსანდრე მახათაძეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის **ზაზა წულაძის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა ზაზა წულაძემ განაცხადა თანხმობა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე

საკრებულოს წევრის ზაზა წულაძის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N8 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეული იქნა ზაზა წულაძე -31 ხმა.

მიღებულ იქნა განკარგულება N51 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ზაზ წულაძეს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის, **კარლო კვიტაიშვილის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა თანხმობა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, კარლო კვიტაიშვილის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N9 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი კარლო კვიტაიშვილი - 30 ხმა, 1 ბიულეტენი ცნობილ იქნა ბათილად.

მიღებულ იქნა განკარგულება N52 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს საკრებულოს წევრს კარლო კვიტაიშვილს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თვმჯდომარემ **ია მოქიამ** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქციის სახელით დაასახელა საკრებულოს წევრის, **გიორგი იმნაიშვილის** კანდიდატურა.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად საკრებულოს წევრმა გიორგი იმნაიშვილმა განაცხადა თანხმობა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 5 წუთით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის გიორგი იმნაიშვილის კანდიტატურის არჩევასთან დაკავშირებით.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო ჩატარებული კენჭისყრის შედეგები (ოქმი N10 30.10.2025 წელი), რომლის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, გიორგი იმნაიშვილი - 31 ხმა.

მიღებულ იქნა განკარგულება N53 (30.10.2025 წელი).

საკრებულოს წევრებმა მიულოცეს გიორგი იმნაიშვილს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** მიესალმა დარბაზში მყოფ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღეს ჩატარდა ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. საკრებულოს წევრებს, როგორც ,,ქართული ოცნების“ გუნდის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებს მიულოცა საკრებულოს წევრებად არჩევა და უსურვა შემდგომი წარმატებები, რასაც სჭირდება თითოეული მათგანისგან მონდომება და ნაყოფიერი შრომა, რათა ის პასუხისმგებლობა და ნდობა, რაც ხალხმა დააკისრა - გაამართლონ. მუნიციპალიტეტში ბევრი გამოწვევაა, რომელთაც, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ღირსეულად უნდა გაუმკლავდნენ მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კიდევ ერთხელ უსურვეს საკრებულოს წევრებს შემდგომი წარმატებები და ნაყოფიერი შრომა მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე
საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

30.10.2025 წელი
11:00 საათი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	
2	ვერიკო კვირკველია	
3	გიორგი ჩახვაძე	
4	გიორგი ხელაძე	
5	ალექსანდრე მახათაძე	
6	ზაზა წულაძე	
7	კარლო კვიტაიშვილი	
8	გიორგი იმნაიშვილი	
9	ია მოქია	
10	ვლადიმერ ნანაძე	
11	კარლო წილოსანი	
12	ლოლიტა ურუშაძე	
13	ნინო მშვიდობაძე	
14	გოგი მორჩილაძე	
15	სპარტაკ კვაჭაძე	
16	ელისო ჭიჭინაძე	
17	რევაზ კვერენჩხილაძე	
18	დარეჯან ბურჭულაძე	
19	ჯუმბერ ბლაგიძე	
20	გოჩა ჯანაშია	
21	თენგიზ ხუხუნაიშვილი	
22	ირაკლი ცინცაძე	

23	ივანე ებრალიძე	
24	ირაკლი ტოროტაძე	
25	მაია ლომთაძე	
26	ტატო ურუშაძე	
27	გელა პატეიშვილი	
28	თენგიზ ურუშაძე	
29	ვარლამ ჩხარტიშვილი	
30	ზესიკი კვაჭანტირაძე	
31	სამსონ კვაჭაძე	
32	თორნიკე მითაიშვილი	